№ 278
პარასკევი, 22 დეკემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 278
პარასკევი, 22 დეკემბერი, 1900 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

## ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 28 დეკემბერს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ-ნ მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა და ბ-ნ ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
ვ. გამყრელიძის და გ. კან ელაკის საბენეფისოდ
წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა
## პირინეის მგელი
ისტორ. დრამა 5 მოქმედ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი; ბ-ნნი ალექსი მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, გვარამაძე, ავალიანი, მირიანოვი, იმედაშვილი, იორდანოვი და სხ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ.
რეჟისორი ვ. გუნია

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
## საქართველოს ისტორია
აკადემიკოსის ბროსსესი, ნაწილი მეორე,
ფასი 70 კაპ.
ნათარგმნი ს. ლოლობერიძისა, გამოცემული ნ. ლოლობერიძის მიერ.
იქვე ისყიდება იმავე თხზულების პირველი ნაწილი, ფასი 70 კაპ.
(5—271—1)

## მ ა ღ ა ზ ი ა
ქართველთა საალებ-მიმცემო ამხანაგობისა
## „შუამავალი"
გადატანილ იქმნა გოლოვინის პროსპექტზედ ოქროევის შენობაში (ცირკის გვერდზედ).
გამგეობა „შუამავალისა" აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მაღაზია შეახლებულ და შევსებულ არის ყოველგვარის საუკეთესო საქონლითა, როგორც საბაკალეულო-საგასტრონომეულო, აგრეთვე სხვა-და-სხვა სასმელებითა, სანოვაგითა და ხილეულობითა.
ფასი ყველაფერზედ ზომიერი ჴ გადაჭრილია
გამგეობას სრული იმედი აქვს საზოგადოების ყურადღებისა და თანაგრძნობისა. (5—270—1)

## ე ქ ი მ ი
## ნიკო ერისთავი,
ველიამინოვის ქუჩა № 34, ქ. ტფილისში იღებს ნერვებისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ (გულის, ფილტვების, (ტომაქის სატკივარნი) დილის 9—11 საათ., საღამოს 5—8 საათამ. აგრეთვე ავადმყოფ ბავშვებს. (10—261—5)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა
დ ი ლ ი თ:
ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.
ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.
ა. ნ. ჟატილოვი—თვალისა 11—12 საათ.
ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
ა. ა. გელოვგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ჴ საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. ე. ჩიქოვანი 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.
გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.
Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ გუბერსკი სეკრეტრობა: ზემო აკულისის ფოსტა-ტელგრაფის განყოფილების უფროსს ჩ ი კ ვ ა ი ძ ე ს, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეებს: ტფილისის—ახალკაცს, ქუთაისისას—გ ო გ ა ვ ა ს, დილიჟნისას—გ ვ ა რ ა მ ა ძ ე ს, ტფილისის სატელეფონო სადგურის მოხელეს თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს ბათუმის კანტორისა—ს რ ე ს უ ლ ს, თეთრწყაროსი—ქ ა რ უ მ ი ძ ე ს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა: ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის საქმის მწარმოებლის თანაშემწეს—ყ ო რ ყ ო ლ ი ა ნ ს, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მამგეობის საქმის მწარმოეჳელ კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ს, ამავე გამგეობის თარჯიმანს ბეგიაშვილს; გუბერსკი სეკრეტრობა ამავე გამგეობის საქმის მწარმოებლის თანაშემწეს ბ ე რ ი ძ ე ს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა ამავე გამგეობის კანცელარიის მოხელეს ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის საგუბერნიო მთავრობას გუბერნიის ყველა მაზრის უფროსებისათვის მიუწერია, რომ რამ-

## ფელეტონი

### ფშავ-ხევსურეთი და ბ-ნი ივანე შიოშვილი.

ბევრი რამ თქმულა ფშავ-ხევსურეთზედ კორესპონდენციებსა თუ ეტნოგრაფიულს წერილებში, მაგრამ ამისთანა უცხო რამ, როგორიც ბ-ნ ივანე შიოშვილს უნებებია, ვგონებ, ჯერ არაფერი დაწერილა ამ ქვეყნის მკვიდრთა შესახებ. იმის წერილიდგან *) დავრწმუნდი, რომ ის ფშავ-ხევსურეთს სრულიად არ იცნობს და განზრახ სთხზავს იმ ამბებს, რომლებიც ფშავ-ხევსურთა ცხოვრებასა და მათს ზნე ჩვეულებათ შეეხება, რომ ამით წერილის მეორე ნახევარს მეტი „ეფექტი" მისცეს, რეზიუმე მეტის ღირსებისა და ფასისა გამოიყვანოს... ან სადაური ცნობა და ცოდნაა ფშავ-ხევსურეთისა, როცა ბ-ნი ივანე შიოშვილი ფშავლების ეკონომიურს თუ გონებრივს ვითარებასა და ხევსურებისას დომხალივით ერთმანერთში ურევს, ერთის საზომითა ჰზომავს!..

ძალიან არ გამოვეკიდები მისს წერილს, სადაც ყოველს სტრიქონში აღებული საგნის შესახებ ჰაი-ჰარად (зря) ლაპარაკი მოსჩანს და აღვნიშნავ მხოლოდ უმთავრესს შეცდომებს, რომლებიც ხევსურების ცხოვრებასაც არ ეკარებიან, თორემ ფშაველებისას ხომ არა და არა.

დავანებოთ იმას თავი, თუ ბ-ნს ივანე შიოშვილს ფშავის გეოგრაფიული მდებარეობის განმარტება ვერ მოუხერხებია; ნურაფერს ვიტყვით იმაზედაც, თუ რა ხორბლეული მოდის ამ ქვეყანაში და ან მისნი მკვიდრნი რით იკვებებიან; დავიწყოთ იქიდგან, სადაც იგი ამბობს: „ზოგან შინაურ საქონლის მოშენებას მისდევენ, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ეგ იშვიათია(?), საქონელიც ნაკლებადა ჰყავთო" **).

საზოგადოდ ცნობილია, რომ თიანეთის მაზრა მომეტებულ ნაწილად საქონლითა სცხოვრობს, ვიდრე სხვა მეურნეობის დარგის შემოსავლით. ამ მაზრის უმთავრესს ელემენტს-კი ფშაველ-ხევსურნი შეადგენენ. მაშ ვინ-ღა მისდევს საქონლის მოშენებას, თუ არ ესენი? ხოლო თუ შევადარებთ რაოდენობას: ფშაველს ხევსურზე მეტი ჰყავს საქონელი. ამისი მიზეზი ის არის, რომ ხევსური არ არის დაჩვეული ხევსურეთიდგან საქონლის სადმე გარეკას საზამთროდ, რის გამოც იმდენს იყოლიებს, რამდენის გამოკვებასაც შეიძლებს თოვლიან-ყინულიან ხევსურეთში. ფშაველს ეს გარემოება არ აშინებს: ის საქონლის მცირე ნაწილს, საზამთრო საკვების მიხედვით, სახლში სტოვებს, ხოლო დანარჩენს ბარად მიერეკება სხვა-და-სხვა ტყეებში ან შირაქის მინდორზე... ფშავში და ხევსურეთშიც ის მეკვემური, რომელსაც ორი ძროხა მაინც არა ჰყავს, უღარიბესად და არაფრის მქონედ ითვლება, და ამისთანა მაგალითი იშვიათიც არის... ნეტა ფშავლის ქალები: ქალთამზე, ქალთათავი, ქალიკმა, მზექალა, მზევინარი, ხვარამზე, ნათელა, ლელა და სხვანი, რომელნიც თავის წუთი-სოფელს საქონლის მოვლა-მოშენებაში ჰლევენ, რას იტყვიან, როცა ბ-ნის ივანე შიოშვილის ნაამბობს გაიგონებენ? თქმით რა მოგახსენოთ, ხოლო დაფიქრდებიან-კი და დაფიქრდებიან მათთან ერთად ხევსურის ქალებიც, რომელთა მოწველილი და გაკეთებული ერბო საუკეთესოდ ითვლება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: დასაფიქრებელი შემდეგია:

ბ-ნი ივანე შიოშვილი განაგრძობს: „სოფელი სოფლიდგან 10—15 ვერსის სიშორეზეა გატყორცნილი, ამიტომ ერთმანერთის ჭირ-ვარამი იშვიათად ესმისთ, დასახმარებლად მისვლა-მოსვლა არ იციან, გაჭირვების დროს დახმარება, თხოვება და თანაგრძნობაც მათში გავრცელებული არ არისო... გახვეულნი არიან ძონძებში და ტყავებში, დაფლეთილნი და დაკონკილნი დადიანო".

მე-კი ვიტყვი, რომ იშვიათად იქნება სოფელი სოფლიდგან 2—5 ვერსზედ იყოს დაშორებული. ვისაც ფშავ-ხევსურეთი არ უნახავს, იმან რომ მას შლაბით ქარტაზე სოფლების ერთმანეთ შორის მანძილი შეადაროს, დარწმუნდება, რომ კორრესპონდენტის ნათქვამი ერთი სამად არის მომეტებული. თვით ეს გარემოება აშკარად ჰხდის, რომ მისი ნაამბობი მკვიდრთა შესახებ ერთი ხუთად არის სინამდვილეს მოკლებული... ნეტა, საქართველოს რომელი ხალხია ისე ერთმანერთის ჭირვარამის თანამგრძნობი, ერთმანერთში მიმსვლელ-მომსვლელი, გაჭირვებაში დამხმარებელი და მიმხედავი, ხელის მომნაცვლებელი და გამმართავი და სხვა ამ გვარი ზნე-ხასიათის მქონე, როგორც მთის ქართველები საზოგადოდ და კერძოდ ფშაველ-ხევსურნი! ცოდო არ არის იმათზედ ეს ითქვას! მაგრამ შიოშვილის აღწერით ხომ რაღაც გლახა-მათხოვარებად, ბოშებად და ველურებად უნდა იცნოს ყველამ იგინი! ნეტა, რაში ჰგავს ფშაველ-ხევსურთა ტანისამოსი დაფლეთილსა და დაკონკილს ძონძებს? ან ტყავი რა

*) იხ. „ივერია" № 83, 1900 წ. მკითხველს ჩემი წერილი ძალიან დაგვიანებულად მოეჩვენება. ამისი მიზეზი ის არის, რომ ჩემი გაზეთის სწორედ ეს №-რი ფოსტას სადღაც მიჰვარდნოდა, რის გამოც ახლა-და მომიხდა წაკითხვა.

**) ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც „ივერია"-ში № 244 წავიკითხე „წერილი ხევსურეთიდგან". ამ წერილში მოხსენებულია, რომ ხევსურების სულის ჩამდგმელი საქონელია, რომლის ყოლაც აქ გახშირებულია, მეტადრე ძროხისა, და ერბოსაც საუკეთესოს აკეთებენო. უნდა ვიფიქროთ, რომ ბ-ნის ივანე შიოშვილის ფშავ-ხევსურეთში მისვლის შემდეგ შესდგომიან ხევსურები საქონლის მოშენებას. იმედია, მაშ მისისავე წყალობით, ხელ-პირის ბანასაც მალე შეეჩვევიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამს მიიღებთ ხარჯთ ამკრებ ინსპექტორებისა და სამაზრო საადგილ მამულო გარდასახადთა საკრებულოთა წევრებისაგან სახელმწიფო, საბეგრო და საადგილ-მამულო გარდასახადთა უწყებებს, იმ წამსვე განკარგულება მოახდინეთ, რომ ეს უწყებები გარდამხდელთ დაუყოვნებლივ ჩააბარონ, ამ გარდასახადთა შესახები ქაღალდები სოფლის სამმართველოებში გააკრან და სოფლის მამასახლისებს დაევალოს, რომ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ გარდამხდელთ.

⁂ ქალაქის გამგეობას ნახშირის ვაჭრობის შესახებ სავალდებულო დადგენილებათა შემდეგი პროექტი შეუმუშავებია: 1) ტფილისის დუქნებში ნახშირი წონით უნდა იყიდებოდეს, ამისთვის ყველა დუქანსა და ნახშირის საწყობს უეჭველად სასწორი უნდა ჰქონდეს. გასასყიდი ნახშირი მშრალი უნდა იქმნას. 2) ნახშირის საწყობების პატრონთ შეუძლიანთ წინადვე ნება დართული ნახშირი ტომრებითაც ჰყიდონ, მხოლოდ ამ შემთხვევაში ტომარაზედ წითლად უნდა იყოს წარწერილი, თუ რამდენი ნახშირია ტომარაში და ნახშირი დაფხვნილია თუ არა. 3) საწყობის პატრონთ ცალკე ადგილზედ აღნიშნული უნდა ჰქონდეთ ფასი დაფხვნილისა და დაუფხვნელ ნახშირისა. 4) ნახშირის გაყიდვა ქუჩებში დატარებითაც შეიძლება, მხოლოდ შემდეგის პირობებით: ნახშირი უნდა იყიდებოდეს „მაგრად შეკერილ ტომრებში. ყველა ვალდებულია ორნაირი ლითონის საწყაო იქონიოს, ქალაქის გამგეობის მიერ ბეჭედ-დასმული, და ნახშირი ამ საწყაოთი ჰყიდოს.

⁂ პოლიცმეისტრის განკარგულებით მომავალ შობისა და ახალწლის დღესასწაულებისა გამო, კვირას, 24 დეკემბერს, ყველა ვაჭრებს შეუძლიანთ დუქნები და მაღაზიები გააღონ და ივაჭრონ მთელი დღე.

⁂ ამას წინად მოხსენებული გვქონდა კავკასიის სასწავლებლებში ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოხელეთა შვილებისათვის სტიპენდიების დაარსების შესახებ. ახლა, როგორც „ახ. მიმ."-ს შეუტყვია, ამ სტიპენდიების პროექტი უკვე შეუმუშავებიათ და წარუდგენიათ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის დასამტკიცებლად.

⁂ როგორც „ცნ. ფურც."-ს შეუტყვია, სოხუმის ქალაქის მოურავად ხელ-მეორედ არჩეული ბ-ნი ა. სარაჯიშვილი ქუთაისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს არ დაუმტკიცებია. ქალაქის მოურავის თანამდებობის აღსრულება დროებით მოურავის თანაშემწის ბ-ნ დიმიტრიევისათვის მიუნდვიათ.

⁂ ტფილისის საკრედიტო საზოგადოებას დაუნიშნავს საჯარო ვაჭრობა ამ საზოგადოებაში დაგირავებულ იმ მამულებისა, რომელთა პატრონთაც სავადო გარდასახადი არ შეუტანიათ. გასასყიდად დანიშნულია სულ 200 მამული.

⁂ ტფილისის ცხენის რკინის გზის ზედამხედველ კომისიას ქალაქის გამგეობაში მოხსენება შეუტანია იმის შესახებ, რომ ღია ვაგონებში მოგზაურთ აეკრძალოთ თამბაქოს მოწევა. გამგეობას უცვნია, რომ ქალაქის თვითმმართველობას უფლება არა აქვს საზოგადოებას აღუკრძალოს თამბაქოს მოწევა ვაგონებში.

⁂ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ინსტრუქციის შესადგენად გამგეობას დაუნიშნავს კომისია ქალაქის თვით მმართველობაში მოსამსახურეთაგან.

⁂ „ცნობ. ფურც."-ს სიტყვით, იურიევის უნივერსიტეტში 12 დეკემბერს, წლიურ აქტის დროს, ვერცხლის მედალი მიუსაჯეს ფარმაცევტს კ ლომიძეს თხზულებისათვის.

⁂ ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობას, რომლის მეთაურიც ბ-ნი ი. ალხაზიშვილია, როგორც იგივე გაზეთი გადმოგვცემს, აზრადა აქვს თურმე სააფთიაქო მაღაზია მუხრანის ქუჩიდგან სასახლის ქუჩაზედ გადაიტანოს, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

⁂ ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს კავკასიის მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ საზოგადოებას წელიწადში ათასი მან. მისცეს. საზოგადოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქმა ამ საზოგადოებას კიდევ ერთხანად აღმოუჩინოს შემწეობა, ქალაქის გამგეობას არ შეუწყნარებია.

⁂ გუშინ, 21 დეკემბერს, ჩვენს სათავად აზნაურო საადგილ მამულო ბანკში დანიშნულ იყო საჯარო გასასყიდად სოფლის მამულები, რომელთზედაც გაცემულია გძელ-ვადიანი სესხი და რომელთა პატრონთაგან ბანკში შემოსატანი ფული არ შესულა. ამ მამულთაგანი მარტო ოთხი ჩავარდა გასასყიდად და ოთხივ გაიყიდა. სხვა გასასყიდადვე გამოცხადებული გძელ ვადიან სესხისა განთავისუფლებულ არიან გასყიდვისაგან, რადგანაც ბანკში შესატანი ფული ამ მამულებისა უკვე გასყიდვამდე შესულა.

დღეს, 22 დეკემბერს, ბანკში იყიდება სოფლის მამულები—მოკლე ვადიან სესხისა, რომელთა პატრონთაგან ბანკში შესატანი ფული აქამომდე არ შესულა.

⁂ როგორც ს. სვირიდგან გვატყობინებენ (ქუთაისის მაზრაშია) საშინელი ყელის ტკივილი თურმე იქ გავრცელებული. ოჯახი არ მოინახება, რომ თითო და ორ ორი ავადმყოფი არ იყვეს.

⁂ ს. ტობანიერი, (ქუთ. მაზ.). ეს ერთი კვირაა ჩვენკენ წვიმებია; საცა არის თოვლიც გვესტუმრება. მდინარე ყუმური გადიდდა და ხიდები ყველგან დაიტაცა. სოფლის სამმართველოსთან მდინარეზედ ერთი კვირაა წყალმა ხიდი მოაბრუნა, ამის შემდეგ კაცი, ქალი, და მოსწავლეები წყალში ფეხით გადიან და სოფლის მოხელეები-კი სეირს უყურებენ და ყურადღებას არ აქცევენ. იმედია, ბოქაული მაინც ინებებს განკარგულების მიცემასა.

⁂ რადგანაც ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს გარდასახადი გააწეროს ძაღლების პატრონებს, ამისათვის გამგეობას 20 დეკემბერს სხდომაზედ დაბარაკი ჰქონია ძაღლების სიის შედგენის წეს-რიგის შესახებ. გამგეობას დაუდგენია, მოსთხოვოს სახლის პატრონთ ცნობები იმის შესახებ, თუ თვითეულს რამდენი ძაღლი ჰყავს. იმ ძაღლებს, რომელთა შესახებაც გამგეობას არაფერს აცნობებენ, დაჰხოცავენ.

⁂ ქალაქის სახლის პატრონებზედ წრეულს 68,000 მან. შემოუტანელი გარდასახადი დარჩენილა. ამის გამო ქალაქის გამგეობას მიუწერია სავაჭრო-სამეურნეო პოლიციისათვის მიიღოს ზომები ამ ფულის მოსაკრებად.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს მიუწერია პოლიციის ბოქაულებისათვის, რომ ეკლესიებს, სკოლებს და სახაზინო დაწესებულებათა ახლოს არსებულ სასმელთა დუქნების პატრონებს ნუ უშლით ივაჭრონ ამ დუქნებში და ნურც უკრძალავთ ახალს სასმელთა დუქნების გახსნასაო, მხოლოდ თვალ-ყური უნდა დაიჭიროთ, რომ ამ სასმელთა დუქნებში კვირა-უქმე დღეებში დილის 11 საათზედ ადრე არ ივაჭრონო.

⁂ ტფილისის გუბერნატორს მიუწერია ქალაქის გამგეობისათვის მიიღოს ზომები, რომ ქუჩებში მოხეტიალე ძაღლები დახოცილ იქმნენ, რადგანაც რუსეთსა და საზღვარ გარედ გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ცოფი უმეტეს ნაწილად ამ მოხეტიალე ძაღლებისაგან ჩნდებაო.

⁂ მომავალ წლის 1-ლ იანვრიდგან გაუქმებულ იქმნება კავკასიის სათიადოქსერო კომიტეტის ექსპერტთა თანაშემწის თანამდებობანი. (ახ. მიმ.).

⁂ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მოამბის" მე-XI ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: 1, „წუთი სოფელი"—მოთხრობა ს. თ—სი; 2, „ცისარტყელა"—კომედია ა. ცაგარლისა; 3, „ვერტერი"—თხზ. გიოტესი, თარგ. ი—ნისა; 4, „გურია-აჭარა"—თ. სახოკიასი; 5, „სამეგრელოს აღწერა"—თარგმანი; 6, „ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდგან"—კ. აბაშიძისა; 7, „ინგლისის კონსტიტუცია მე-XIX საუკუნეში—თარგმანი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. კახი** (საინგილო). ერთი თვე იქნება, რაც კახის საბოქაულოში ახალი ნაიბი ბ-ნი ზინოვიევი დანიშნეს. იმედია, ბ-ნი ზინოვიევი თავისის გამოცდილობით თავს ისახელებს და შეავსებს მას, რაც ძველმა ნაიბმა ბ-ნმა არდასტოვმა ვერ მოასწრო. ჯერ არც-კი გაეცნო საზოგადოებას ახალი ნაიბი ზინოვიევი, რომ ხმა გავრცელდა, მამასახლისი კახის საზოგადოებისა არჩილ ტარტარაშვილი მოხუცებულობისა და სხვა-და-სხვა შინაურ საქმეებისა გამო თავს ანებებს თავისს თანამდებობასაო. ეს ამბავი მთელს სოფელს ელვასავით მოედო. ხალხი რამდენსამე დასად გაიყო და თვითეული მათგანი იმას სცდილობს, რომ თავისი კანდიდატი გამოიყვანოს

---

ისეთი უარ-ყოფილი საცმელია, რომ მარტო მათ სამოსლად უცვნია! ვინ იტყვის, რომ ფშავ-ხევსურეთი ძნელი საცხოვრებელი ქვეყანა არ იყოს, მეტადრე ახალ-მისულთათვის; რომ მის მკვიდრთ სიღარიბე არ იცოდნენ; მრავალი ნაკლულევანება არა ჰქონდეთ, უცოდინარობა და უმეცრება არ აწუხებდეთ, მეშველი და პატრონი არა სჭირდებოდეთ, მაგრამ ეს გარემოება, ვგონებ, არავის აძლევს ნებას, რომ ისინი წუწკებად და ველურებად გამოიყვანოს ქვეყნის თვალსა და ყურში.

შემდეგ ბ-ნი ივანე შიოშვილი ამბობს: „სიწმინდე და სისუფთავე სრულიად არ უყვართ; პირის დაბანა დამცირებად მიაჩნიათ; თავს ბინძურად ინახავენ; ხელების დაბანა არამც თუ საჭმლის წინ, არამედ მის მომზადების დროსაც, მაგალითად, ცომის დაზელის დროს, არ იციან".

სიწმინდეს და სისუფთავეს კიდევ თავისი შედარებითი ხარისხი აქვს, მაღალ-დაბალი ალაგი უკავია ყოველს ხალხში, ამ ხალხისავე ცხოვრების გარემოებათა მიხედვითა და შესაფერად, მაგრამ არა მგონია, ისეთი უბედურება რომელსამე ხალხსა სჭირდეს, რომ პირის დაბანა დამცირებად მიაჩნდეს! ან როდისა ნახა ბ-ნმა ივანე შიოშვილმა, რომ ფშაველ-ხევსურნი ხელებს არ იბანდნენ პურის დაზელის დროს? აბა ზემოდ ჩამოთვლილი ქალების დალონება აქ არის აი! პურს ხომ ისინი ჰზელავენ! ფშავლის ქალი და ხელები არ დაიბანოს, მერე ცომის მოზელის დროს, სწორედ სასაცილოა! ხელებს იბანენ საჭმლის წინაც, ხოლო ჩვეულებად-კი, როგორც ბარშია, არ არის გადაქცეული, უფრო სურვილზეა დამოკიდებული. ამისი მიზეზი, ჩემის ფიქრით, ის არის, რომ ფშაველი და, ვგონებ, ხევსურიც სველს ლუკმას, თუ კოვზით არა, თითებით არა დროს არ შესჭამს. ბარად-კი კოვზის მაგიერობას სამი თითი ეწევა. საჭმლის წინ ხელების ბანვის ჩვეულებაც ამისი შედეგია. მაგრამ ამისთანა მიზეზ-შედეგები ხომ ბ-ნს ივანე შიოშვილს უნდა მოეძებნა, შაედარებინა ფშაველ-ხევსურთა ცხოვრებისათვის, გაერკვია, აეწონ-დაეწონა და ამის მიხედვით შეეთხზა თავისი წერილი!..

„ქრისტიანული სარწმუნოებაც,—განაგრძობს ავტორი,—ამ ბოლო დრომდე არა სანატრელს მდგომარეობაში იყო: მღვდელსა და მღვდელ-მოქმედებას ძლიერ გულცივად უყურებდნენ; ეკლესიაში წირვა-ლოცვაზედ სიარული ეჯავრებოდათ; სამაგიეროდ თავიანთს „დეკანოზებს" ბრმად ექვემდებარებიან... დეკანოზები მღვდელთ-მოქმედების წესებს, მაგალითად, ქორწინებას, ნათლობას, წესის აგებას, თავისებურად ასრულებენ... ყველაზედ უარესი და მეტად შემაძრწუნებელი ჩვეულება: „ორსული დედაკაცი უწმინდურად ითვლება და მშობიარობის დროს უპატრონოდ არის... არ უვლიან, სახლში არ აყენებენ... ახლო არ ეკარებიან... საწყალი ქალი სადმე ქოხში უნდა გადასახლდეს და თავისს თავს თვითონ უპატრონოს რამდენსამე ხანს... ასეთს ჩვეულებას ბევრი უბედურება მოსდევს".

მაშ ბ-ნის ივანე შიოშვილის თქმით, ქრისტიანული სარწმუნოება ახლა იქ სანატრელს მდგომარეობაშია: მღვდელსა და მღვდელთ-მოქმედებას გულ-მხურვალედ ეპყრობიან, წირვა, ლოცვაზედ სიარული შეიყვარეს; „დეკანოზები" შეიჯავრეს და სხ. რომ ეს ასე იყოს, ძალიან სასიხარულო იქნებოდა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს ასე არ არის. ქრისტიანულ სარწმუნოების სანატრელს მდგომარეობას ხევსურეთში (ფშავზედ ეს არ ითქმის) მხოლოდ იმით ვხედავ, რომ ქრ. აღმად. საზოგადოება ახლა იქ ახალს ეკკლესიებს აშენებს ძველების ნაცვლად, ძველებზედ სამჯერ უკეთესებს. როგორც მოსწრებული კაცებისაგან გამიგონია ეს მეორედ უშენებენ ხევსურებს ეკკლესიებს ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში და, იქნება, ორჯელ შემდეგ საუკუნეში დასჭირდეს? ამისი მიზეზებია: 1) ძველი სარწმუნოებრივი რწმენა-ჩვეულებანი; 2) ახალი სარწმუნოებრივი წესები, ანუ ეკკლესია და 3) ახალის დროის ძალა და გავლენა, რომ ლმაც სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმი მძიმე ლოდივით დაადო ბარის ხალხს. პირველი და მესამე ებრძვიან მეორეს და ამ ბრძოლამ მთის ხალხის სარწმუნოებრივი რწმენა გამოურკვეველს მდგომარეობაში ჩააგდო; აღარ იცის: პირველს გაჰყვეს, მეორეს მიემხროს, თუ მესამეს დაემორჩილოს. ამიტომაც სასწორი არც ერთისაკენ არა სძლევს. ბოლოს-კი, ვფიქრობ, მესამემ, ე. ი. დროს გავლენამ უნდა გაიმარჯვოს მეორის, ე. ი. ეკკლესიის სასარგებლოდა და ამ გამარჯვებაში პირველი ალაგი სკოლისა იქნება, როგორც განათლების სათავისა. მართლაც პირველი საუკუნოები ხომ არ არის, რომ ეკკლესიამ ხევსურეთში ბევრი რამ გააკეთოს თავისს სასარგებლოდ. დრონი მეფობენ, დრონი! ხევსურების ჭეშმარიტს სარწმუნოებაზედ დაყენება მარტო სკოლასა და მისს გავლენას შეუძლიან, ეკკლესია-კი ხევსურეთში უნდა არსებობდეს, როგორც საიდუმლოთა დამცველი და აღმასრულებელი.

ჩემი აზრი ხევსურების ქრისტიანულ სარწმუნოებაზედ დაყენებისა და ნათელში გამოყვანის შესახებ კიდევ აი რაა: ხევსურეთი წვრილ სამრევლოებად უნდა დაიყოს; ამ სამრევლოებში აშენდეს მცირე-ფასიანი ეკკლესიები; სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ მოკრებილი მღვდელ-დიაკვნების ნაცვლად გამწესდეს ადგილობრივი ხევსურები, რასაკვირველია, საეკკლესიო წესების მცოდნენი; ამათი მეთვალყურე, ზედამხედველი და ხელმძღვანელი უნდა იყოს მეტ-განათლება მიღებული ბლაღოჩინი მღვდელი, რომელიც მათის ყოველი მოქმედების სასტიკი კონტროლიორიც იქნება. როცა ეს ასე გაწეს-რიგდება, ხევსურეთის მღვდელ-დიაკვნების შვილები სასულიერო სასწავლებლებში აღიზრდებიან; არ იქნება, რომ ამათ ერთმა-ორმა მეზობელმაც არ მიჰბაძოს; ახლა ხევსურეთისავე სკოლები, სამრევლოები თუ სხვა დარგისები, მიეშველებიან და საქმე სწორე გზაზედ წავა...

რაც შეეხება ფშავლებს, ამ მხრივ იმათი შედარება ხევსურებთან ცოდვაა. მართლია, ქრ. აღმ. საზოგადოების შემწეობით ფშავლებმაც აიშენეს ახალი ეკკესიები, მაგრამ მას აქეთ ისინი არც ანგრევენ და არც არავის აშენებინებენ: თითონ ჰპატრონობენ. ამ ახლების წინადაც ჰქონდათ ფშავლებს საყდრები და მღვდლებიცა ჰყავდათ. ამიტომაც ფშავლის რწმენა და შეხედულება ეკკლესიაზედა და საზოგადოდ ქრისტიანობაზედ სულ სხვა არის, ვიდრე ხევსურისა.

ბ-ნის ივანე შიოშვილის მზგავსად ახლად მისულნი ფშავ-ხევსურეთში პირველადვე შენიშნავენ ხოლმე იქ „დეკანოზებსა" და „ხევის ბერებს" და შემდეგ იმ ჩვეულებას, რომელსაც ფშაველ-ხევსურნი „ქოხ-ბოსლობას" ეძახიან. ახალ მისულთ ყურსა სჭრის სიტყვა „დეკანოზი" და გაოცებულნი რჩებიან, თუ ხალხი როგორ ჰბედავს ამისთანა საპატიო სიტყვის უბრალო კაცებზე გადაღებასა! ამათ ავიწყდებათ ანდაზა: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო", და იქ ინდივიდუმის ხმა არაფერს ჰნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მამასახლისათ ამოირჩიოს. კანდიდატებად სამს ასახელებენ: ვასილ ტარტარაშვილს, პეტრე ყულოშვილს და ივანე ფარხსტაშვილს. ორი ამათგანი წერა-კითხვის მცოდნენი არიან, უკანასკნელი-კი უცოდინარი კაცია, თუმცა ბუნებრივის ნიჭით დაჯილდოვებულია. ჩვენ არ შევეხებით ამათს პიროვნობას, მხოლოდ-კი დავსძენთ, რომ მამასახლისის ტვირთი ძალიან მძიმეა. კარგი მამასახლისი ხალხს, ეშვი არ არის, კარგს გზაზედ დააყენებს და, თუ ცუდი გამოდგა, ამ გზიდგან მალე დააბრუნებს და უკუღმართ გზისაკენ გადახვევინებს. მამასახლისს არ უნდა ჰქონდეს პირადი ინტერესები, არამედ საზოგადოების ინტერესზედ მუდამ უნდა ჰზრუნავდეს და თავდადებულიც უნდა იყოს. პირფერობამა და ნაცნობობით ანუ ნათესაობით მიდგომამ სრულიად არ უნდა მოისყიდოს. იგი მედგრად უნდა ებრძოდეს საზოგადოების დამაქვეითებელ გარემოებათ და მუდამ გამარჯვებული უნდა გამოდიოდეს საზოგადო სარბიელზედ. აი, უმთავრესნი პირობანი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სოფლის მამასახლისმა. რასაკვირველია, ეს ზემოდ ჩამოთვლილნი პირობანი იმდენად არ მოითხოვება გაუნათლებელისა და უსწავლელს სოფლის მამასახლისს, მაგრამ, თუ იმასაც უნდა რითმე იხელმძღვანელოს და გული საზოგადოების კეთილ-დღეობისათვის უცემს, მან ყური უნდა უგდოს თავისს სინიდისს და თავისზედ მცოდნე და გამოცდილს პატიოსანს პირებს, რომ ამით სოფლის საზოგადოება კეთილ-წარმატების გზაზედ დააყენოს. როგორც ვთქვით, შინაური გარემოებანი და მოხუცებულობა ნებას არ აძლევდა ეხლანდელს მამასახლისს არჩილ ტარტარაშვილს, რომ სამსახური გაეგრძელებინა. თუმცა ეს მოხუცი უსწავლელი კაცია, მაგრამ კახის საზოგადოებისათვის მამასახლისობაში დიდი სამსახური გაუწევია: მას ხალხში გაზშირებული ქურდობა თითქმის მოუსპია, რაიცა ადგილობრივს მცხოვრებლებს უზომოდ ადატკბებდა. ამ მამასახლისის არჩევამდე მთავრობა ისე გაჯერებული თურმე იყო ქურდობითა და სხვა ავკაცობაზედ სანივრებით, რომ მოთმინებიდგან გამოსულს გარდაეწყვიტნა ინგილოებისათვის მამასახლისი თავისით დაენიშნა. მოსულა კახში ზაქათალის ოლქის უფროსი და თავისი განზრახვა ხალხისათვის გამოუცხადებია. ხალხს თხოვნით მიუმართავს უფროსისთვის, რომ ნება მიეცა, დროებით მაინც ისევ თავიანთაგანა ამოერჩიათ მამასახლისად და თუ ესეც ვერ მოსპობდა ქურდობასა და ავკაცობას, მაშინ მთავრობის განზრახვა აღსრულებულიყო. აი ამ დროს ხალხმა წარუდგინა ოლქის უფროსს მოხუცი არჩილ ტარტარაშვილი და უფროსმაც შეისმინა ხალხის ვედრება და დროებით მამასახლისად დაამტკიცა.

ვისურვოთ, რომ ახალს მამასახლისსაც ახალის ნაიბის ხელმძღვანელობით ხალხის საკეთილდღეოდ ემოღვაწოს, ყოველივე ნაკლულევანება სიკეთით შეავსოს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მიყრუებული კახის საზოგადოება წარმატების გზაზედ დაეყენებინოს.

გ. ფარადაშვილი

—

**დ. ზუგდიდი.** მთელი მაზრა უნაზდებითა და ქურდებით თითქმის სავსეა: ისე დღე არ გაივლის, რომ რომელსამე სოფელში ქურდობა არ მოხდეს ცხენისა, ძროხისა და სხვა რამ წვრილი საქონლისა. 10 დეკემბერს, ღამით, უაზნდებმა შიგ დაბა ზუგდიდში მცხოვრების ჟ. ზარქუას სახლი გაქურდეს; იმ ღამესვე ზარქუას მეზობელს პატარაიას მოჰპარეს ცხენი. თურმე ზარქუასთან მოპარული ყველი პატარაიას სახლში ძაღლებისათვის გადაუგდიათ, არ იყეფონო, და ისე გულ დამშვიდებულებს გაუქურდნიათ. ამ ორს ადგილას ნაქურდალს არ დასჯერდნენ და იმავე ღამეს თეიმურაზ კარტოზიას ცხენი მოჰპარეს, რომლის თაობაზედაც ჯერ არა ისმის-რა.

ასე ქალაქში შემოჩვეულმა უაზნდებმა 14 დეკემბერს, ღამით, კიდევ მოიპარეს ზუგდიდის საბადოსნო კლასის ცხენი, რომელიც რუსული დუმბათი (საჭედი ნალია) თურმე იყო ოთხივე ფეხით დაჭედილი. ნაკვალევზედ კარგად აჩნდა, საითკენაც წაეყვანათ. დილით ადრე ზუგდიდის ექვს-კლასიან სასწავლებლის მასწავლებელი თადა აშორდია ორის დარაჯითა და დუკა გრიგოლიათი, წაყვანილ ცხენს კვალ-დაკვალ დაედევნა, და დაეწია ქურდებს სოფელ ნარაზენში, ზუგდიდიდგან მე-15—18 ვერსის მანძილზე; თურმე უაზნდებს ცხენი ამ სოფელში მცხოვრებ (მეჭედლია) ყვანჩიასთან შეუყვანიათ, რომ განსხვავებული კვალის დამსმელი დუმბა—ნალი აეძროთ, და ძალზედ მშივრებს საჭმელიც მოუთხოვიათ. ამ დროს თავს წაადგნენ კვალ-და-კვალ მიმდევარნი აშორდია და გრიგოლია დარაჯებით. ქურდებმა უცბად დაჰყარეს ცხენები, მოპარულთან თავიანთიც და სახლის მახლობელს ქლიანს ბუჩქნარში შეცვივდნენ და „ბერდანკებით" სროლა დაუწყეს მდევარს, მაგრამ მალე ერთი უაზნდთაგანი, ტარიელ შ. გვათუა ქართველ დარაჯის ტყვიით დაიჭრა. გვათუა თურმე ციმბირიდგან ყოფილა გამოქცეული; მეორე ამხანაგი უაზნდისა გაქცეულა ქვეითად, რომელსაც უკან მთელის მაზრის დარაჯთა რაზმი დაედევნა.

დაჭრილი გვათუა, მოპარული და უაზნდების ცხენები, უნაგირები და ნაბდები ზუგდიდის სამაზრო მმართველობას წარუდგინა; გვათუა ზუგდიდის საპატიმროში დაამწყვდიეს.

წვეულს „ინფლუენციას" არა ემშვიდა-რა. მაგრამ ამას კიდევ ავიტანდით, რომ შვალი და ანთება არ გახშირებულიყო. ეს სენი მთელს მაზრას მუსრს ავლებს, ჩვენში მუდმივი წვიმებია, სიცივე ზომიერია; ყინვა და ქარი არ არის.

სანოვაგე ძლიერ გაძვირებულია. წვრილი საკლავი საქონელი, კვერცხი და სხ. მამასისხლად არის. შეშას ხომ ნუღარ იტყვით. კარგი მსუქანი ღორი 40—50 მანეთამდე ფასობს, სიმინდი ფუთი 50 კაპ., ღომი 1 მან. გარჩეული, საშობაო—სადღესასწაულო ვაჭრობა ნაკლებია.

ანტონ ზუგდიდელი

## წერილი ლეჩხუმის საზოგადოებისადმი

(შორაპნის მაზრა)

როგორც წინადაც სწერდნენ, ლეჩხუმის საზოგადოებაში წელს მეორე სამინისტრო სკოლა დაარსდა, რომელსაც ჯერ-ჯერობით საკუთარი შენობა არა აქვს. ამიტომ იგი მოთავსებულია ს. ზედა უბანში მანჯავიძის სახლში. მომავალ სამოსწავლო წლიდგან სკოლას საკუთარი შენობა ექნება და მოთავსებული იქნება სოფ. ვახანში, ეგრედ წოდებულს „ელაზნაურზედ", რადგანაც ეს შუა ალაგია.

ელაზნაურის პატრონს, ქ-ნს ნატალია ქაქიაშვილს აზრადა აქვს სკოლის შენობის დასადგმელი ადგილი უსასყიდლოდ დაუთმოს საზოგადოებას.

იმედია, ქ-ნი ნატალია ქაქიაშვილი თავისს კეთილს განზრახვას მალე შეასრულებს და ამით თავისს სახელს ჩვენში დაუვიწყარ—ჰყოფს.

მასწავლებელი ზ. არჯევანიძე

## უცხოეთი

**ინგლისი.** „Fruth" იუწყება, რომ ლორდს რობერტს შთამომავლობით გრაფის ხარისხის მიცემას უპირებენ, რომელიც ქალების შტოზედაც გადავა. ამასთანავე განზრახვა თურმე აქვთ 50,000 გირვანქა სტერლინგი, ე. ი. 500,000 მან. პენსიათ დაუნიშნონ და „წრიათობის" ორდენის ვარსკვლავით დააჯილდოვონ. ამ ორდენს მხოლოდ იშვიათს შემთხვევაში თურმე აძლევენ ვისმე და ისიც საგანგებო სამხედრო სამსახურისათვის. გაზეთი იუწყება, რომ ამ ჟამად აღნიშნული ორდენი, კემბრიჯის ჰერცოგის გარდა, არც ერთს ინგლისელს გენერალს არა აქვს და იმასაც სამხედრო სამსახურისათვის-კი არა, როგორც სამეფო სახლის პრინცს, ისე მიეცათ.

**საფრანგეთი.** როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული და დეპეშებმაც გვაუწყეს, სენატმა ამნისტიის პროექტი იმ ფორმით მიიღო, როგორც პალატამ შეიწყნარა. სენატში კამათი ტრარიეს სიტყვამ გამოიწვია. ტრარიე იმას ამტკიცებდა, რომ მშვიდობიანობის აღდგენა ამნისტიით, რომელსაც დამნაშავენი და ნამდვილი გმირები სულ ერთ ტაფაში მოუქცევია, შეუძლებელია; ამ შემთხვევაში მხოლოდ სასამართლოს უნდა მიეცეს სრული თავისუფლება, რომელსაც მართლაც შეუძლიან დამნაშავენი და უდანაშაულონი გაარჩიოს. განსაკუთრებით-კი ტრარიე იმასა თხოულობდა, რომ უდანაშაულო პოლპოლკოვნიკს პიკარს ამნისტია არ შეჰხებოდა.

„ჩვენ ვიცით,—სთქვა ტრარიემ,—რომ ამნისტია სხვა და-სხვა დანაშაულობას—ყალბი საბუთების შედგენას, ყალბი საბუთებით სარგებლობას, ტყუილს ჩვენებას სასამართლოში, ფიცის დარღვევასა და სხ., დაუსჯელადა სტოვებს, მაგრამ პოლპოლკოვნიკის პიკარის წინააღმდეგ სამართლით საქმის გარჩევას იგი უნდა შეეხოს, ამნისტია მას ვერ გააუქმებს. პიკარი შეღავათს არა თხოულობს, იგი სამართალს თხოულობს (ისმის ძახილი: „საუცხოვოა"!). პიკარს ისევ ის ურჩევნია, რომ უსამართლოდ გამტყუვნებული იქმნეს, მაგრამ ამნისტიას კი უარ-ჰყოფს, რომელიც ეშვს არა ჰხდის. ჩემის აზრითაც ასეა, რომ პიკარს ამნისტიის კანონი ვერ შე-

---

ნავს, სადაც მთელი ხალხი სძრავს ენასა. ძველად არამც თუ ხალხი, არამედ მეფენიც ამ სიტყვით იხსენიებდნენ მათ. მე ხელთა მაქვს ერთი წერილი (მეფისაა თუ ბატონიშვილისა, ბეჭედი ვერ გავარჩიე), რომელიც ასე იწერება: „ჩვენ მაგიერად ჩვენს მოძმეს დეკანოს იმედას და ერთობით ფშაველთ ხევისბერებთ მოკითხვა უამბეთ"... მოდი და გაიკვირვოს ბ-ნმა ივანე შიოშვილმა! რომ ამბობს: დეკანოზები მღვდელთ-მოქმედების წესებს ასრულებენო, ეს მართალი არ არის. ფშავში დეკანოზები და ხევის ბერები არავითარს მღვდელ-მოქმედებას არ ასრულებენ. იმათ იქ ახლა ის მნიშვნელობა აქვთ, რაც ბარად მნათეს, რომელიც ეკკლესიის კარზედ მიყვანილს საკლავს თავს შესტუსავს ხოლმე, ქადას გაუჭრის მლოცველებს და ორიოდე სიტყვით დაამწყალობლებს, ზვარაკისა და ძღვნის შემოწირვისათვის დალოცავს. ნათლობას არც ხევსურები ასრულებენ, ხოლო ჯვრის წერისა და დამარხვის დროს სცოდნიათ რაღაც უბრალო წესები, თუ რომ მღვდელი იქ არ არის, ისიც სახლში, უეკკლესიოდ.

ვთქვათ ახლა ცოტა რამ ფშავ-ხევსურთა იმ ჩვეულებაზე, რომელსაც ისინი „ქოხ-ბოსლობას" ეძახიან, და რომელიც შემთხვევით იქ მისულთ დიდ უწესოებად და შემაძრწუნებელ ჩვეულება მიაჩნიათ. ნამდვილად-კი ეს ჩვეულება, თუმცა უვარგისია, მაგრამ ისეთს ღვთისრისხვას, როგორიც ამათ ჰგონიათ, სრულიადაც არ წარმოადგენს. იგი შემდეგში მდგომარეობს: დედათ ბუნებიანი ქალი, თუ რძალი ოჯახის საზოგადო საცხოვრებელ სახლში არა რჩება, რადგანაც უსუფთაოდ მიაჩნია თავისი თავი; ვიდრე ეს წესი გაუვლის, ის ბოსელში სცხოვრობს და „მებოსლეს" ეძახიან, რომელიც შინ არ შედის, საჭმელს თუ სასმელს შინაურები ბოსელში აწვდიან. როცა დედათ რიგი გაუვლის, იგი იხდის ბოსელში ნაცვამს ტანისამოსს, თავიდგან ფეხამდე გაებანება წყალში, გამოატანინებს სახლიდგან სუფთა ტანისამოსსა და ასე გაწმენდილი, განბანილი და სუფთად დაცვლილი შედის საოჯახო სახლში. არ შეიძლება ბოსელში ნახმარი რამ სახლში შეიტანოს: ჩიქილიდგან მოკიდებული ფეხთ-საცმელებსაც-კი ჰრეცხავს. ამ რიგად ფშავლის ქალი პასაკიდამ დაწყებული, ვიდრე დედათ ბუნება თავს არ მიანებებს, ე. ი. 45—50 წლამდე თვეში ერთხელ ებანება თბილსა თუ ცივს წყალში და ბ-ნი ივანე შიოშვილი-კი გაიძახის: პირის დაბანა დამცირებად მიაჩნიათო!.. ამასავე ჰგავს მშობიარე დედაკაცის ქცევაც: ის ოჯახის საცხოვრებელს სახლში არ მოილოგინებს; როცა მუცლის ტკივილს იგრძნობს, მიდის ბოსელში ან ამ შემთხვევისათვის განგებ გაკეთებულს ქოხში. კორესპონდენტი რომ ამბობს: ორსული დედაკაცი უწმინდურად ითვლება და მშობიარობის დროს უპატრონოდ არისო, ესეც ტყუილია. ორსულ დედაკაცს უწმინდურად არავინაც არა სთვლის, ხოლო მშობიარეს უყურებენ ისე, როგორც მებოსლეს, უსუფთაოს. არც ის შეიძლება, რომ მშობიარე დედაკაცს თავი მიანებონ. შინაური დედაკაცების გარდა, მასთან არიან მეზობლის დედაკაცებიც, ვიდრე არ განთავისუფლდება... მშობიარე დედაკაცი ექვსის კვირის შემდეგ საოჯახო სახლში ბრუნდება.

ზემოდაცა ვსთქვი, რომ ეს ჩვეულება თანაგრძნობის ღირსი არ არისმეთქი, მაგრამ ვიტყვი ამასაც, რომ უბედურების სათავედ მაინცა და მაინც არ ჩაითვლება. ამისაგან წარმომდგარი უბედურება ისე იშვიათია, რომ უცხო კაცი ძნელად დაიჯერებს. ჩვენს სოფელში ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, რომ ამ ჩვეულების მსხვერპლი გამხდარიყოს ვინმე. ბარად ხომ საუკეთესო ლოგინსა და თბილს სახლს უცლიან მელოგინეს, მაგრამ აქ უფრო ხშირია უბედურება, ვიდრე მთაში. მაშასადამე „ქოხ-ბოსლობა" უბედურების დიდი მიზეზი არა ყოფილა. სახეში მისაღები უფრო შემდეგი გარემოებაა: მთის დედაკაცი მამაკაცზედ მეტად მხნეა, გამრჯელი, გამკეთებელი, როგორც სადედაკაცო საქმისა, ისე საკაცოსი; ამიტომაც ჯან-ღონით სავსეა და მშობიარობასაც ისე ადვილად იტანს, რომ სწორედ გასაკვირველია. ბარის დედა-კაცი კი, რადგან მას სადედაკაცო საქმე აბარია, ფიზიკურად ნაკლებ არის განვითარებული, სუსტია და მშობიარობასაც ძნელად იტანს...

„ქოხ-ბოსლობა", დედაკაცთავე მოთხრობით, იმ დროს არის შემოღებული ფშავ-ხევსურეთში, როცა სახლის გამნათვლელი მღვდელი ადვილი საპოვარი არა ყოფილა. ეხლა ბევრს ეჯავრება ეს ჩვეულება, მაგრამ ვერაფერი გაუწყვიათ ჯერ ფანატიზმისა და მეორეც დედაკაცის კონსერვატიულ ბუნების წინააღმდეგ. ერთხელ, როცა ამ საგანზედ გავაბი ლაპარაკი ერთს ხევსურთან, მითხრა: „ვის არ უნდა, რომ თავისს ცოლშვილს თვალით უყუროს, თავისთან ცეცხლაპირას იყოლიოს, მაგრამ რა ვქნათ, რომ ხატი არ „გვიხდენს", არა „გვყაბულობსო"! თვით ამ სტრიქონების დამწერი რამდენჯერ დაუღონებივარ დედაჩემის „ბოსლობას", მეტადრე როცა სასწავლებლიდგან მივიდოდი ხოლმე შინ, მაგრამ მას თავისი რწმენა და ჩვეულება ვერას გზით ვერ შევაცვლევინე. „მე ამ ადათით ოჯახს ვუფრთხილდებიო, მე რაც უნდა დამემართოს, ოღონდ თქვენ იყავით უსაბაბონიო", მეტყოდა ხოლმე დედა. მართლაც მან „ბოსლობას" თავი არ გაანება, ვიდრე თითონ ამ „ბოსლობამ" არ აიღო იმაზედ ხელი.

ბოლოს, დავარწმუნებ ბ-ნ ივანე შიოშვილს, რომ ფშაველ ხევსურთა ბედისა და ცხოვრების წაღმა მოტრიალება და ბნელის ნათლით მოფენა უცები და წინად აღებულის აზრის აჩქარებული სიტყვებია. თუ მას ეხლა-ღა გაუგია, რომ ფშავ-ხევსურეთს პატრონად სასულიერო მთავრობა მოევლინა, ჩემთვის ეს ძველი ამბავია. სასულიერო მთავრობა, ბარემ ნახევარ საუკუნეზედ მეტია, რაც ფშავ-ხევსურეთსა ჰპატრონობს და საქმესაც აკეთებს ნელ-ნელა. პირველად მან ეკკლესიები ააშენა და მერე მე-70 წლებში სკოლებიც დამართა, სადაც ჩვენ, რამდენმამე ფშაველმა, წერა-კითხვა ვისწავლეთ პირველად. სამწუხაროდ, ამ სკოლებმა, თითქმის ოცი წელიწადია მას აქეთ, მოქმედება შესწყვიტეს. ჩვენ სასულიერო მთავრობის მომდურავნი[არა] ვართ, პირ-იქით, გვმართებს, რომ მადლობა შევწიროთ ამ გვარი პატრონობისა და მეცადინეობისათვის, რომელიც მან ამ ბოლოს დროს გამოიჩინა, მაგრამ იმისთანა წერილების წერა, როგორიც ბ-ნის ივანე შიოშვილისაა, სადაც ფშავ-ხევსურეთში სასულიერო ასპარეზზედ მოღვაწეთა სასარგებლოდ ყოველივე ამ ქვეყნის მკვიდრთა ცხოვრების ზნე-ჩვეულებანი და ადათები ასე უკუღმართად არის ნაამბობი და თვით ამ ჩვეულებათა პატრონნი ველურებად არიან გამოყვანილნი, ვგონებ, არც სასულიერო და არც საერო კაცთათვის მოსაწონი არ არის.

ფშაველიშვილი

ეხება, რადგანაც მის მიერ გამოქვეყნებულს სამხედრო საბუთის ქაღალდებს დრეიფუსის საქმესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. პიკარს ჯერ ერთი იმიტომ სდევნიან, რომ ჯაშუშის ბიულოს საქმის შესახებ საბუთის ქაღალდები ადვოკატს ლებლუას აცნობა და მეორეც, საფოსტო მტრედების შესახებ საბუთის ქაღალდები გამოაქვეყნა. მითხარით, ამ ორს საქმესა და დრეიფუსის საქმეს საერთო რა აქვს? საკასაციო სასამართლომ უკვე გადასწყვიტა, რომ მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. აგერ სრული $1^1/_2$ წელიწადია პიკარი იმასა თხოულობს, რომ ამ დანაშაულობის უსაფუძვლობა დაამტკიცოს, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ნება მისცენ თავი იმართლოს“.

ტრარიესათვის სანჯულო საქმეთა მინისტრს არავითარი პასუხი არ მიუცია. ტრიბუნაზედ ავიდა თვით მინისტრ-პრეზიდენტი ვალდეკ-რუსსო და იგივე გაიმეორა, რაც წინად ჰქონდა ნათქვამი.

„ვიმეორებ, — სთქვა ვალდეკმა, — რომ სენატისაგან მხოლოდ პოლიტიკურს აქტსა ვთხოულობ. ჩვენ ის სრულიადაც არა გვაქვს სახეში, რომ რომელისამე პირადობის მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდეთ, ან-და ერთს ფაქტს მეორესთან შედარებით უპირატესობას ვაძლევდეთ, არა, ჩვენ მხოლოდ გვსურს, რომ საფრანგეთში მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთ. ნუ დავივიწყებთ ნურც იმას, რომ ჩვენ ახლა კიდევ სხვა შეტაკება და ბრძოლა მოგველის (კონგრეგაციების კანონ-პროექტზედ უთითებს), ამისათვის გთხოვთ უთუოდ ჩვენს მოწინააღმდეგეთ (ნაციონალისტებს) იარაღი აჰყაროთ, მათგან უზრუნველ-გვყოთ“. (თითქმის ყველა მხრიდგან ტაშის ცემა ისმის).

**ოსმალეთი.** სულთანი უბრძანებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ კავკასიიდგან გადმოსასახლებელს 30—40 ათასს მუსულმანს მიწები მიეზომოს და შემწეობა აღმოეჩინოს.

— რადგანაც ანატოლიის პროვინციებში ამ ბოლოს დროს ერთობ მრავალი მუსულმანი გადასახლდა, რომელთაც სულიერად გამხნევება და სარწმუნოების მხრივ განმტკიცება სჭირიათ, სულთანი უბრძანებს შეიხ იულ-ისლამს, რომ ყველა ამ ვილაიეტებში (ოლქებში) კონსტანტინოპოლში დვთის-მეტყველურად განსწავლული მქადაგებელნი იქმნენ დანიშნულნი.

მცირე ოსმალთა ორგანო „ოსმანლი“ სწერს ამის შესახებ: „სულთანის ამ ბრძანებით ორი დიდი საქმე გაკეთდება: ერთი, რომ ახალგაზრდა მქადაგებელი სოფტები სტამბოლიდგან განდევნილ იქმნებიან, რომლებსაც მთავრობა საშიშ ხალხადა სთვლის, და მეორეც, პროვინციის მუსულმანნი ქრისტეანეთა წინააღმდეგ ამიერიდგან დაუძინებელ მტრებად გადაიქცევიანო“.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

მეტად საოცარ ამბავს გადმოგვცემს ფრანგული გაზეთი „Matin“-ი. გაზეთი გვარწმუნებს, რომ ამას წინად ცნობილმა ვარსკვლავთ-მრიცხველმა დუგლასმა (ამერიკაში არიზანის შტატში სცხოვრობს) შენიშნა მარსზედ ერთგვარი ნიშნები, რომლითაც მარსის მცხოვრებთ დედამიწის მცხოვრებთან დალაპარაკება უნდოდათო, ეს ამბავი დუგლანს დეპეშით ყველა ობსერვატორიისთვის უცნობებია. მას შემდეგ, რაკი ვარსკვლავთ-მრიცხველნი დარწმუნდნენ, რომ დიდ პლანეტებზედ ატმოსფერა მოიპოვება, ბევრი დაბეჯითებით გაიძახის, რომ ამ პლანეტაზედ სულიერი არსებანიც იქმნებიანო. მარსის გამოკვლევამ უფრო განუმტკიცა ვარსკვლავთ-მრიცხველთ ეს რწმენა. ამ პლანეტაზედ ისეთი სწორე და მშვენივრად გამართული არხები შენიშნეს, რომ არა სჯერათ, თუ არ გონიერ არსებათ, თვით ბუნებას ასეთი არხები გაემართა. ეს არხები მოწმობენ, რომ მარსის მცხოვრებმა მეტად დიდ განვითარებასა და ცივილიზაციას მიაღწიეს. როდესაც ასეთი აზრი განმტკიცდა ვარსკვლავთ მრიცხველთა შორის, ბევრს სურვილი აღეძრა მარსელებთან დალაპარაკებისა. საუკეთესო საშვალებად ამისთვის ცნეს სწორე ხაზებისა და გეომეტრიულ ფიგურების მაგვარად განათებული ნიშნები. ასეთის განათებულ ფიგურების წყალობით ორის პლანეტის მცხოვრებნი ერთმანეთთან გამოლაპარაკებას შესძლებენო. და აი სწორედ ამგვარი განათებული ფიგურები მარსზედ ამას წინად დუგლასს. დასახელებულ პლანეტაზედ დუგლასი ათვალიერებდა თურმე ერთს ადგილს, რომელსაც ვარსკვლავთ მრიცხველნი „იკარიის ზღვას“ ეძახიან. უეცრად შეუნიშნავს ამ დროს განათებული წერტილები, რამდენისამე ასს ვერსის მანძილზედ მწკრივად გაყოლებული. ეს უზარ-მაზარი კოცონები 2 საათსა და 10 წუთის განმავლობაში ენთნენ და შემდეგ ისევე უეცრად ჩაქრნენ, როგორც უეცრად გაჩნდნენ. ის გარემოება, რომ ანთებული ფიგურები ერთ დროს გაჩნდნენ და ერთ დროსვე ჩაქრნენ, და აგრეთვე ის, რომ რიგზედ გავლებულ ხაზს წარმოადგენდნენ, საფიქრებელს ჰყოფს, რომ იმათ გაჩენასა და ჩაქრობას გონიერი არსებანი განაგებდნენ. აშკარაა, ჰფიქრობს დუგლასი, მარსელებს განსაკუთრებულის ნიშნებით ჩვენთან დალაპარაკება უნდათ, და უნდა მოველოდეთ, რომ ამ ნიშნებს არა ერთხელ გაიმეორებენო. გაზეთი „Matin“-ი ისეა გატაცებული ამ ამბით, რომ წერილის ბოლოს დასძენს: „თუ ეს ნიშნები მართლა მარსის მცხოერებთა მიერაა ანთებული, მაშინ საჭიროა შევატყობინოთ, რომ გავიგეთ მათი განზრახვა, და ამასთან შეუდგეთ საერთო ძალით განათებულ ნიშნებისაგან განსაკუთრებულ ანბანის შედგენას ურთ-ერთ შორის მოსალაპარაკებლად“.

* * *

ჟოკეებს კარგი ჯამაგირი მარტო ინგლისში არა აქვთ. რუსეთშიაც დიდ ფულს იღებენ დოღების დროს ჟოკეები. წელს ვინმე პალმერს, მაგალითად, მ. ი. ლაზარევის ჟოკეის 15,000 მანეთი აუღია. აქედგან 6000 მანეთი ჯამაგირი ჰქონია და 9000 მანეთიც ზოგი დოღის დროს აუღია და ზოგიც მოგებიდგან ჰრგებია.

* * *

ავსტრიასა და გერმანიაში შემდგარა ვენისა და ბერლინის კაპიტალისტთა ახალი სათეატრო საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს გაავრცელოს ნემეცთა შესანიშნავი ნაწარმოებნი რუსეთში, ხოლო რუსთა — გერმანიასა და ავსტრიაში. ეს საზოგადოება შესანიშნავ არტისტებსა და მთელ დასებს დაიბარებს რუსეთიდგან და აგრეთვე რუსეთშიაც გაჰგზავნის გერმანიასა და ავსტრიიდგან.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 დეკემბერი

**კაპშტადტი.** ბურები მიდლბურგის სამხრეთით როდეხოგტემდე მივიდნენ. მიდლბურგში ინგლისის მაშველი ჯარი მივიდა.

**გააგა.** კრიუგერი წევს. ბრონხიტითაა მსუბუქად ავად.

**ბერლინი.** ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან, რომ გრეშერის რაზმი 16 დეკემბერს იანცინით დაბრუნდაო. მადაის რაზმი ტუნ-ჯოუდგან ჩრდილოეთით წავიდა, რადგანაც ამბავი მოვიდა, რომ მიუენიანთან ჯერ კიდევ არის ჩინეთის ჯარიო. ტუნ-ჯოუზედ გაგზავნილ იქმნა ორი სხვა როტა ქვეითა ჯარისა.

**ლონდონი.** როგორც კაპშტადტიდგან „Daily Mail“-სატყობინებენ, დღემდე კაპის ახალშენში შესულ ბურების რიცხვი 5000-ს აღემატება.

პეკინიდგან იუწყებიან, რომ ინგლისის ელჩი სატოუ პლევრიტით გახდა ავადაო.

**ლონდონი.** პეკინიდგან იუწყებიან 19 დეკემბრის რიცხვით, რომ ელჩებმა დაადგინეს სთხოვონ ჩინეთის რწმუნებულთ წერილობით აღნიშნონ ის საგნები, რომელნიც საერთო ნოტას შეეხებიან; მაშინ ახალი კრება მოხდებაო. ამ რიგად, უთუოდ, დიდი დრო გავა პასუხის მიღებამდე.

**ნიუ-იორკი.** პეკინიდგან მიღებულ დეპეშის თანახმად, ლაპარაკის დროს ლიხუნგჩანგმა განაცხადა, რომ იმპერატორი მზადაა დასთანხმდეს სახელმწიფოთა მოთხოვნილებას, მაგრამ იმ აზრის კია, რომ მრავალ ამაღელვებელ ექსპედიციებს შესამჩნევი ზარალი მოაქვთო. იმპერატორი თანახმაა სახელმწიფოების მიერ დასახელებული მოხელენი გადაასახლოს შორეულ ოლქებში და აუკრძალოს მათ უკან დაბრუნებაო. ლიხუნგჩანგმა იმედი განაცხადა, რომ სახელმწიფონი ჯარს მხოლოდ პეკინსა, ტიანძინსა და რკინის გზის ლიანდაგზედ დასტოვებენ. მთავრობა ეცდება დაამშვიდოს ხალხიო.

**ნიუ-იორკი.** როგორც 1900 წლის ანგარიშიდგანა სჩანს, სიცოცხლის ურთი-ერთ დამზღვევ საზოგადოებას 1900 წელს ახლად 464 მილიონ მანეთისა დაუზღვევია, წინა წელთან შედარებით 60 მილიონ მანეთზედ მეტისა. დაზღვევათა საერთო თანხა 280 მილიონ მანეთით გადიდდა. რუსეთის სახელმწიფო ბანკში, რუსეთში დაზღვეულთა უზრუნველსაყოფელად, 1900 წლის 1 ნოემბრისთვის 11 მილიონ მანეთის ფონდი იყო.

21 დეკემბერი

**კაპშტადტი.** ბურების რაზმი გლენგარრინსთან გაჩნდა. გლენგარი რკინის გზის სადგურია გრააფრეინეტის ჩრდილოეთით.

**გააგა.** კრიუგერი უკვე რამდენიმე დღეა ავად არის ბრონხატით. რადგანაც კრიუგერი ხნიერი კაცია და რადგანაც ადგილობრივი ჰავა არა რგებს, ავადმყოფისათვის განსაკუთრებული მოვლაა საჭირო.

**კელნი.** პეკინიდგან იუწყებიან, რომ იმპერატორის ბრძანებით დაევალათ ლიხუნგჩანგსა და ცინს გამოაცხადონ, რომ სახელმწიფოთა საერთო ნოტის პირობანი ჩინეთის მთავრობის მიერ მიღებულ იქმნენო.

**ლონდონი.** კიტჩინერ დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან: „გენერალი ნოქსი გვატყობინებს, რომ დევეტმა განიზრახა ბეთლეემის აღება, მაგრამ პილჩერმა შეუშალა ხელი და აიძულა ლინდლეისა ან რეცისაკენ წასულიყოო. ამხედრებულ ქვეითა ჯარის რაზმს, კრონშტადტიდგან გამოსულს, წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ რაზმმა მცირე ზარალის შემდეგ მოახერხა რკინის გზაზედ გადასვლა და აგრეთვე რაოდენისამე ზარალით ზიუდერფონტენზედ გადასვლაც. ვილიამსმა მიდლსბურგის სამხრეთ დასავლეთით ბრძოლაში ჩაათრია ბურები. ინგლისელებმა გრააფრეინეტი აიღეს.

**ნიუ-იორკი.** პეკინიდგან იუწყებიან, რომ იქ დიდი ლაპარაკი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ინგლისის ჯარის დათვალიერების დროს რომელიც დედოფალ ვიქტორიის პატივსაცემად მოახდინეს, ფრანგებმა არ გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენელი, მაშინ როდესაც ყველა სხვა ერმა გაჰგზავნა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ულრმეს მადლობას ვუცხადებ ქ-ნს გოგოლი დიმიტრის ასულს ბერეჟიანისას, რომელმაც დ. ხიდისთავში წარმოდგენა გამიმართა და აგრეთვე თავისს ნაცნობთა შორის ხელის მოწერით შეჰკრიბა ჩემს სასარგებლოდ 38 მან. და 79 კაპ. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე იმათ, რომლებმაც ამ საქმეში მონაწილეობა მიიღეს.

სტუდ. კ. ნინიძე

ქ. იურიევი.

## შემოწირულება

პატივცემულ პროფესსორის ვასილ მოსეს ძის პეტრიაშვილის სახელობაზედ დასაარსებელ სტიპენდიის სასარგებლოდ მივიღეთ კიდევ ბ-ნ ნიკოლოზ ბესარიონის ძის დოდობერიძისაგან 40 მან. იყო 25 მან., შესდგა 65 მან.


# განცხადებანი



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—8)

დაიბეჭდა და იყიდება ძმათა თავართქილაძეების მიერ გამოცემული კალენდრები და წიგნები საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობია ბათომში გამომცემლების მაღაზიებში, თფილისში — გ. პალიზენის სააქციონერო ქაღალდის საწყობში და ქუთაისში — მიტროფანე ლალიძესთან.

1) „ქედლის კალენდარი“ 40 კ.

2) „უბის წიგნი და ამხანაგი“ 30 კაპ.

3) „საყოველთაო კალენდარი“ 20 კ.

4) „მეცნიერებისთვის წამებულნი“ 1 მან.

5) „ვეფხის ტყაოსანი“ დიდი ფორმ. ყდაში 2 მან.

6) „ჩანგი“, მე-4 შევსებული გამოცემა, ფასი 1 მან.

7) „მუშათა კითხვა“ თარგმ. თ. კიკვაძისა, გამოცემა მუშისა — 15 კ.

(10—6.—3)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქიქა — 2 მან; პატარა — 1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში — ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—20)


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აუწყებს იმათ, რომელთაც ქ. ტფილისში ცხენები ჰყავთ, რომ, ქალაქის საბჭოს 13 მარტის ამა წლის დადგენილების თანახმად, ქალაქის სასარგებლოდ ცხენების გარდასახადის დროზედ შემოუტანლობის ჯარიმა მომავალ 1901 წლიდგან გარდახდებათ შემოუტან გარდასახადის რაოდენობის 18% და არა 24%-ი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Декабря 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე